

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ დავით საგანელიძეს

ბატონო დავით,

გთხოვთ, გაეცნოთ ჩვენი ორგანიზაციის მიერ მომზადებულ შენიშვნებს (თანდართულია) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონპროექტზე “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე”, რომელიც გაეგზავნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს.

ვთვლით, რომ აღნიშნული საკითხი თქვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება, რადგანაც თქვენთვის ახლობელია გარემოს დაცვის თემატიკა;

ასევე, ჩვენს მიერ შემოთავაზებული შენიშვნების ერთ-ერთი მიზანია მოავგაროს სოჭის გირჩების ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც დღეისათვის დაურეგულირებელია კანონმდებლობით. აღნიშნული საქმიანობა განსაკუთრებით გავრცელებულია ამბროლაურის რაიონში, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ საქართველოს პარლამენტში. ეს ბიზნესი რაიონის ხელმოკლე მოსახლეობის ნაწილისათვის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა, მაგრამ ამავედროულად მისი კანონით დაურეგულირებლობა განაპირობებს ამ ბიზნესის ნახევრად ლეგალურობას, ამცირებს მოსახლეობის შემოსავალს, ხოლო ყველაზე უარყოფითი შედეგი ეკოსისტემებისათვის მიყენებული ზარალია. გთხოვთ, გაეცნოთ ჩვენს შენიშვნებს და თანხმობის შემთხვევაში საკითხი გააუღეროთ პარლამენტში. წერილს ასევე თან ერთვის ასოციაცია მწვანე ალტერნატივას 2006 წლის 19 აპრილის განცხადება ამ საკითხთან დაკავშირებით.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

ირაკლი მაჭარაშვილი
ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორი